



# ლანჩხუთში კოლეჯ „ჰორიზონტის“ ახალი სასწავლო კორპუსი გაიხსნა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ურუშაძესთან ერთად ლანჩხუთში მდებარე კოლეჯ „ჰორიზონტის“ ახალი სასწავლო კორპუსი გახსნა, რომელიც 250 სტუდენტზეა გათვლილი. მულტიპროფილური სასწავლებლის თანამედროვე ტიპის შენობა სრულად შეესაბამება სტანდარტებს და ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე.

სასწავლებელი სრულად აღჭურვილია სასწავლო და საოფისე ინვენტარით, ავეჯითა და ტექნიკით; ინტეგრირებული პროგრამებისთვის შესაბამისი მეცნიერული და პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიებით: ელექტრობის, ქიმიკონსტრუქციის, სამკერვალო, სასტუმრო, თმის მომსახურების და ვებტექნოლოგიების ლაბორატორიებით.

**გურია** **ა ლ ი ო ნ ი** უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამომცემი. № 27 (10463) 22 ნოემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

## აფხაზეთის ომში დაღუპული თავაზ მალაზონიას ცხედარი სამხედრო პატივით დაკრძალეს



**აღიონი.** 18 ნოემბერს, 31 წლის შემდეგ, სოფელ გურიანთაში აფხაზეთში ემორულად დაღუპულ თავაზ მალაზონიას ცხედარი მშობლიური სოფლის სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს. ჩვენი სკოლის მეგობარი იყო, საუკეთესო ასლგაზრდა, სამშობლოს დაცვას შესწირა თავი - გვიტონა სკოლის მეგობარმა ნანა ინარიძემ. თავაზი კარგი ბიჭი იყო, წესიერი, ზრდილი, პატ-ოისანი. გურიანთის საშუალო სკოლის დამაფრთხილებელი შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ბელორუსიაში მოხდა ვაჭარი. ჩამოვიდა და შრომობდა. მძლიერი იყო. ძალიან კარგი დღე-მამიშვილია ვეჭობდა. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, მან რამდენჯერმე სიხოვა კობის-არაღს გაწვევა. ბოლოს თავისი გაიტანა და იგი სამხედრო წვრთნებზე გამოიხატეს, საიდანაც აფხაზეთის ომში წავიდა. იგი, 21 პრივადის მე-3 ბატა-

ლიონის მებრძოლი იყო. 1992 წლის 2 სექტემბერს, ვეტერანებით ჩასვეს ისინი ლესელიძეძე. 3 ოქტომბერს ერთი ოცეული გააშქრეს განთიადის დასახლებაში, გრე-ბეშოკის თავზე, სადაც იქ მყოფი სამხედრო ძალები იცავდა პერ-ბეტრსამ ოცეულის შემდეგ-ბეშოკში იყო ჩემი ძმა თავაზ მალაზონია. შემდეგ განთიადთან ბრძოლაში მონაწილეობდა. 15 სექტემბერს, განთიადთან ბრძოლაში დაიღუპა იგი. ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო. სიკვდილის შემდეგ იგი ვახტანგ ვორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოეს. წლების მანძილზე არ ვიცოდით მისი საფლავი. ახლა საერთაშორისო წითელი ჯვრის საშუალებით აფხაზეთიდან იქ დაღუპულ მებრძოლთა გვამების მორიგი გადმოხვეწება მოხდა. ჩემს ძმას ვიბეშე ელო პირადობის მოწმობა, რითაც მისი იდენტიფიცირება მოხდა. შემდეგ დნ-ის ანალიზიც ჩატარდა. - გვიტონა მისმა ძმამ თემურ მალაზონიამ.

## გურიაში „ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენციები გაიმართა



**აღიონი.** 20 ნოემბერს გურიის მხარის სამივე მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული კონფერენციები გაიმართა. კონფერენციებში მონაწილეობენ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, ქ. თბილისის მერი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი კახი კალაძე, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე, სახელმწიფო რწმუნებულის გურიის მხარეში გიორგი

ურუშაძე. ლანჩხუთში გამართულ კონფერენციაზე ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ასევე, ბიუროს წევრები აირჩიეს. შემდეგ კონფერენცია ოზურგეთის საქმელმწიფო თეატრში გაიმართა. კონფერენციის დედეგატებმა ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ასევე, ბიუროს წევრები აირჩიეს. „ქართული ოცნების“ კონფერენციაზე ჩოხატაურის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, ასე-

ვე, ბიუროს წევრები აირჩიეს. ამით პარტიული კონფერენციები გურიის მხარეში დასრულდა. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პასუხები გასცეს ჟურნალისტების შეკითხვებს. - დემოკრატიულმა სამყარომ ბალანსი პლურალიზმსა და სტაბილურობას შორის მოიხიბნა და ამისათვის, ძირითადად ცივილიზებული სამყაროს უფრო მეტ ქვეყანაში დაადგინა, რომ არის 5-პროცენტის ბარიერი. წელს ამაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი, არ ყოფილა რეკომენდაცია, მოწოდება ამის შესახებ, იმიტომ, რომ ევროპის ქვეყნების ნახევარზე მეტში მიიჩნევა, რომ სწორედ 5-პროცენტის ბარიერი უზრუნვე-

ლყოფს პლურალიზმის და დემოკრატიის ხარისხის წარმომადგენ-ლობითი უფლებამოსილების განხორციელების, დემოკრატიაში ხალხის მაქსიმალურად ჩართულობის ბალანსის მთავარ გარანტს, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ 5-პროცენტის ბარიერის შემცირებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განაცხადა. მისი განმარტებით, საარჩევნო ბარიერის დაწვევა არ განიხილება, ვინაიდან, ევრო-კავშირის ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის, კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებშიც, ბარიერი სწორედ 5 პროცენტია.

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით - 16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani15@gmail.com  
 558 499100  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

## ლაითურში უმაღლესი ევროპული სტანდარტების კენიტენციური დაწესებულება გაიხსნა



გასულ სამშაბათს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში სრულიად ახალი ტიპის, 700 მსჯავრდებულზე გათვლილი პენიტენციური დაწესებულება იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგვაძემ გახსნა. ლაითურის პენიტენციური დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ევროპის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კომიტეტის (CPT) ყველა რეკომენდაციას. ის სრულად არის მორგებული როგორც ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ისე დაწესებულების თანამშრომელთა საჭიროებებს.

მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი არიან უმაღლესი ხარისხის სამედიცინო სერვისებით, სპორტული ინფრასტრუქტურით, სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ყველა საშუალებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიით ციფრული უნივერსიტეტისთვის, საიდანაც მსჯავრდებულები ონლაინ შეძლებენ ლექციებზე დასწრებას და ლექტორებთან უშუალო კომუნიკაციას.

მსჯავრდებულთა უსაფრთხოებაზე, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციასა და სასჯელის აღსრულებაზე პენიტენციური დაწესებულების 250-მდე თანამშრომელი იზრუნებს, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან კომპლექტური სამუშაო პირობებით, მათ შორის - უფასო კვებით, ტრანსპორტირებით; როგორც სპორტუ-

ლი, ისე მოსასვენებელი სივრცეებით. დაწესებულებაში, ასევე, გაიხსნა იუსტიციის სახლი, რომელიც მსჯავრდებულებისა და თანამშრომლებისათვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. პენიტენციურ დაწესებულებაში იუსტიციის სახლების ფილიალების მუშაობა ქართული ინოვაციაა და მას პრეცედენტი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ აქვს. დაწესებულება სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.

ლაითურის ციხე მცირე ზომის, უმაღლესი ევროპული სტანდარტების შესაბამისი პირველი დაწესებულებაა. დიდი ზომის ციხეების მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებით ჩანაცვლება იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტია და მიზანი ქართული პენიტენციური სისტემის ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებაა.

ლაითურის I პენიტენციური დაწესებულების გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილეები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები. პენიტენციური დაწესებულების გახსნის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა პასუხი გასცა ჟურნალისტების შეკითხვებს.

## გენდერული ჯგავლების შეფასების მეთოდოლოგიის (GIA) შესახებ



ბორჯომში, სასტუმრო „ბორჯომი პალასში“, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადგილობრივი პოლიტიკური დოკუმენტების გენდერული ზემოქმედების შეფასების (GIA) და გენდერული ბუჯეტის მნიშვნელობა ინკლუზიური, თანასწორი და სამართლიანი ადგილობრივი მმართველობისთვის“. ტრენინგს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოს შვიდი მუნიციპალიტეტიდან: ჩოხატაური, სენაკი, ზუგდიდი, თერჯოლა, წალენჯიხა, ქობულეთი, ზობი, ასევე, იმერეთისა და

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლები. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს წარმოადგენდნენ მერის პირველი მოადგილე მათა კუტუბიძე და მერის თანამშემგებელი საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მათა პაჭკაძე. მონაწილეებს მიუწოდებინათ ინფორმაცია გენდერული ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის (GIA) შესახებ. განიხილეს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებულ პროგრამები, მიღწევები და სამომავლო გეგმები.

## საქართველოს განათლების მინისტრი კვლევის დასრულ ურობაში უხვდა

ალიონი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი მთელი ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს მასწავლებლებთან შეხვედრებს. მინისტრმა მორიგი სამუშაო შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, გურიის რეგიონის სხვადასხვა სკოლის 300-ზე მეტ პედაგოგთან გამართა. ეს შეხვედრა დასრულ ფორმატში წარმართა.

გიორგი ამილახვარმა შეხვედრის მონაწილეებთან ზოგადი განათლების სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით გადასდგმული ნაბიჯები განიხილა, სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე იმსჯელა და პედაგოგების პოზიციები მოისმინა სკოლებში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე. სამუშაო შეხვედრაზე საუბარი შეეხო ისეთ თემებს როგორებიცაა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, კარიერ-

ული წინსვლის ხელშეწყობა, მათი სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესება და სხვა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა და თითოეულ პედაგოგს საშუალება ჰქონდა მისთვის საინტერესო საკითხზე პირადად მინისტრისგან მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია.

მასწავლებლებთან შეხვედრაში მონაწილეობა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში, გიორგი ურუშაძემ მიიღო.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ამილახვარის ინიციატივით მასწავლებლებთან შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება, რათა პედაგოგთა წინაშე არსებულ პრობლემებზე მოხდეს დროული რეაგირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.



## გიორგი ამილახვარი ლანჩხუთში პირველი საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს პირადად გაეცნო



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი, გურიის სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ურუშაძესთან ერთად, ლანჩხუთში პირველი საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს პირადად გაეცნო.

სკოლის შენობის სრულ რეაბილიტაციას, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის გადაწყვეტილებით მიმდინარე უპრეცედენტო მასშტაბური პროექტის ფარგლებში, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 5 მილიონ ლარს შეადგენს, სამშენებლო ნორმების დაცვით, ევროსტანდარტების შესაბამისად, ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებით ხორციელდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ

სკოლაში სასწავლო სივრცეებთან ერთად იფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი და ექიმის კაბინეტი. სკოლა სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის: მოეწყობა ლიფტი, ადაპტირებული სანიტარული კვანძები და პანდუსი. სკოლა სრულად აღიჭურვება ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსითა და ინვენტარით.

ინფრასტრუქტურული პროექტის შედეგად, 2024 წლის ბოლოსთვის, ლანჩხუთის პირველი საჯარო სკოლის 600-ზე მეტი მოსწავლე სწავლას სრულად ადაპტირებულ, თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ სკოლაში გააგრძელებს.











